# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 485

„18" დეკემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.05.567; №81.01.05.569;) ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 30 ივლისის №34 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 11 დეკემბრის №04/22423 წერილის (AR1327978) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.05.567, №81.01.05.569;) ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1327978 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან







## პირობითი აღნიშვნები

ტერიტორიის ფართი – 16767.0 მ²

მოშენების ფართი – 6218.3 მ²

განაშენიანების ფართი (J2) – 14450.0 მ²

J1- 0.4 J2- 0.9 J3-0.3

**A - სექტორი**

ტერიტორიის ფართი – 5002.0 მ²

განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი J1 – 1770.7
განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი J2 – 4335.0

J1- 0.4 J2- 0.9 J3-0.3

**B - სექტორი**

ტერიტორიის ფართი – 11765.0 მ²

განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი J1 – 4447.6
განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი J2 – 10115.0

J1- 0.4 J2- 0.9 J3-0.3

პროექტის სახელწოდება

ქ. თბილისი, შავა კოჯორის გზატკეცილზე საკადასტრო კოდით (81.01.05.569, 81.01.05.567) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი

# უფლებრივი ზონირების რუკა

შპს "ზუკა 2012"

მასშტაბი 1 1000